სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N173

საინფორმაციო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო" (შემდგომში – "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ ზოიძის სახით და მეორე მხრივ **შპს "კვესი ჯგუფი"** (შემდგომში – "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია გოჩიტაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1 მხარე (მხარეები) – წინამდებარე ხელშეკრულების ხელმომწერი პირები.

1.2.2 სააბონენტო ნომერი – შემსყიდველის მფლობელობაში არსებული ის სატელეფონო ნომრები, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მიმწოდებლის სატელეფონო მომსახურების ცენტრთან დაკავშირება.

1.2.3 ოპერატორი – იმ სატელეფონო ნუმერაციის ლიცენზირებული მფლობელი, რომლის სააბონენტო ნუმერაციას წარმოადგენს შემსყიდველის მფლობელობასა და პასუხისმგებლობაში არსებული ტელეფონის ნომერი.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის სატელეფონო, საინფორმაციო მომსახურების გაწევა.

2.2 ერთეული ინფორმაციის ღირებულებაა 0.98 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 84 (ოთხმოცდაოთხი) ლარს, დღგ–ს ჩათვლით.

2.4 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.5 კლასიფიკატორის კოდი: CPV CPV 72300000 - მონაცემთა მომსახურება;

3. სატელეფონო (საინფორმაციო) მომსახურება, პირობები

3.1 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საინფორმაციო მომსახურების მიღებისათვის შემსყიდველი სარგებლობს სატელეფონო ნომრებით 11808 ან ელ.ფოსტის მისამართით: info@08.ge

3.2 საინფორმაციო მომსახურება გულისხმობს:

ა) მიმწოდებლის საინფორმაციო ბაზაში არსებული მონაცემების მიწოდებას, როგორც ტელეფონით, ასევე ელექტრონული ფოსტით ან/და SMS შეტყობინებით.

ბ) საინფორმაციო ბაზაში არარსებული ინფორმაციის მოძიებას, მიმწოდებლის სპეციალური სამსახურის ძალებით.

გ) 0.98 თეთრი გულისხმობს არა განხორციელებული ზარის საფასურს, არამედ, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი და მიღებული ერთი ერთეული ინფორმაციის (მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება) ღირებულებას.

3.3 სატელეფონო მომსახურება გაიწევა მხოლოდ შემსყიდველის მფლობელობაში არსებული სააბონენტო ნუმერაციიდან 11808 ნუმერაციაზე შემოსული და შემდგარი სატელეფონო ან ელექტრონული ფოსტით მიღებულ შეკვეთაზე.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე შემსყიდველის სატელეფონო მომსახურება გაეწევა შემდეგ სააბონენტო ნუმერაციაზე (დანართი N1).

3.5 მიმწოდებლის პასუხისმგებლობა მომსახურებაზე შემოიფარგლება გაცემულ ინფორმაციასა და გაწეულ მოქმედებებზე.

3.6 მიმწოდებელი პასუხს აგებს შემსყიდველისათვის მიწოდებული ინფორმაციის სასწორესა და სიზუსტეზე მხოლოდ საინფორმაციო ბაზისა და პირველადი წყაროს ფარგლებში.

3.7. **მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით, ეტაპობრივად, 2017 წლის 29 დეკემბრიდან და 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხი.
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობითი ფორმით, გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურებასთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ.
- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
- მის თანამშრომლებს და/ან ამ ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემული სატელეფონო ნომრით მოსარგებლეებს აცნობოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საინფორმაციო მომსახურების პირობები და ტარიფი, აგრეთვე განუმარტოს, რომ მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი საკომუნიკაციო/სატელეფონო მომსახურების პირობებზე, წესებსა თუ ხარისხზე.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საინფორმაციო მომსახურების მოწოდება შემსყიდველისათვის დღეღამის ნებისმიერ დროს, წლის ნებისმიერ დღეს.

4.6 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერი პერიოდულობით და სიხშირით, ისარგებლოს მიმწოდებლის საინფორმაციო მომსახურებით.

4.7 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული საინფორმაციო მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულების მე-5 მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით.

4.8 მიმწოდებელი უფლებამოსილია დამოუკიდებლად შეცვალოს და/ან დაამატოს მომსახურებათა სახეები და/ან ტარიფები, რის თაობაზეც 15 დღით ადრე ატყობინებს შემსყიდველს. (ნებისმიერი ცვლილება განხორციელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე).

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის მიერ ფაქტიურად მიღებული მომსახურების შესაბამისად გამოწერილი ანგარიშ - ფაქტურის მიხედვით.

5.2 მიღებული მომსახურების ღირებულებას შემსყიდველი იხდის ანგარიშ – ფაქტურის წარდგენიდან, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ფორმით. საბანკო გადარიცხვით.

6. მხარეთა დამატებითი ვალდებულებები

6.1 მხარეები მოვალენი არიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები განახორციელონ კეთილსინდისიერად.

6.2 მხარეები ერთმანეთს დაუყოვნებლივ აწვდიან ყველა ინფორმაციას, რაც აუცილებელია ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებისათვის.

6.3 მხარეები უზრუნველყოფენ საქმიანობის იმდაგვარ წარმართვას, რომ არ მოხდეს ერთმანეთის საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

6.4 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს კოდექსის შესაბამისი მუხლები.

7.5 ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ფორს-მაჟორად მიიჩნევა ისეთი გარემოება, რომელიც დგება ნებისაგან დამოუკიდებლად და შეუძლებელია თავიდან იქნას აცილებული მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობისა და შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. ამასთან, აღნიშნული გარემოების გათვალისწინება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

7.6 ფორს-მაჟორის დადგომის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს და წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

7.7 ფორს-მაჟორის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდება მისი არსებობის მთელი ვადით, თუ მხარეთა მიერ აღნიშნული გარემოების დადგომის შემდგომ არ იქნა მიღებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება.

7.8 ფორს-მაჟორად მიიჩნევა ასევე, სახელისუფლებო უწყების მიერ გამოცემული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს ნუმერაციის რესურსების გამოყენებას.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **2017 წლის 29 დეკემბრიდან** და მოქმედებს **2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

9. ხელშკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ვადაზე ადრე ნებისმიერ დროს, რის თაობაზეც ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით 15 დღით ადრე აცნობოს მეორე მხარეს.

10. შეტყობინებები

10.1 მხარეთა შორის შეტყობინებები იგზავნება წერილობითი ფორმით.

10.2 წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის კანცელარიაში ჩაბარებით ან/და მისი პასუხისმგებელი თანამშრომლისათვის ხელმოწერით გადაცემით. გარდა აღნიშნულისა, მხარეს შეუძლია კომუნიკაციისთვის გამოიყენოს საფოსტო მომსახურება.

10.3 მხარისათვის გაგზავნილი შეტყობინება ითვლება მიღებულად და შეთანხმებულად თუ ხუთი სამუშაო დღის გასვლის შემდეგ არ იქნა ადრესატის მიერ გაგზავნილი დასაბუთებული უარი. საფოსტო გზავნილის შემთხვევაში შეტყობინება/წერილი იგზავნება დაზღვეული ფოსტით და ჩაბარებულად ითვლება, საფოსტო დაწესებულებისათვის გადაცემიდან 3 (სამი) სამუშაო დღის გასვლისთანავე.

10.4 ყველა შეტყობინება შედგება ქართულ ენაზე.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

11.2 დავის მოლაპარაკების გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში მას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების მთლიანად ბათილობას.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

12.5 საქართველოს კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში, რაც ცვლის მხარეების ვალდებულებათა შესრულების ვადასა და/ან პირობებს, მხარეები მოქმედებენ ცვლილებების შესაბამისად. ამასთან, ასეთი ცვლილებები უნდა აისახოს ხელშეკრულებაში.

12.6 ამ ხელშეკრულებით ბათილდება მხარეებს შორის მანამდე მოქმედი ყველა ხელშეკრულება თუ ზეპირი შეთანხმება.

13. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“	შპს "კვესი ჯგუფი"
ბათუმი,ფარნავაზ მეფის ქ.N84/86	თბილისი ალ. ყაზბეგის 34 ნაკვეთი 4 სახლი 2
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო საწარმო	ს/ს "თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ს/კ 445388054	ს/კ 205229947
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE81TB7986936070100001
ტელ 422 29 44 22	ტელ: 2910808
თინათინ ზოიძე	ნათია გრიტაშვილი
დირექტორი	**დირექტორი**

დანართი N1

2017 წლის 29 დეკემბრის N173 ხელშეკრულების სააბონენტო ნომრები,

რომელზეც უნდა განხორციელდეს სატელეფონო მომსახურება

N	**სააბონენტო ნომრები**
1	+995 (422) 29 44 10
2	+995 (422) 29 44 11
3	+995 (422) 29 44 12
4	+995 (422) 29 44 13
5	+995 (422) 29 44 14
6	+995 (422) 29 44 22
7	+995 (422) 29 44 33
8	+995 (422) 29 44 15

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო"

თინათინ ზოიძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
შპს "კვესი ჯგუფი"

ნათია გოჩიტაშვილი
დირექტორი